



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/82

„23“ ივლისი 2015 წ.

### გ ა დ ა წ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/209-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/209-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულებაში“ შეტანილ იქნეს ცვლილება:

ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი:

„გ<sup>1</sup>) საგამოცდო კომისიის წევრებთან ერთად ამოწმებს ტესტური და წერიითი გამოცდების საკითხების შინაარსობრივ-ლოგიკურ და რედაქციულ გამართულობას;“;

ბ) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საგამოცდო კომისიის წევრის საქმიანობა კომისიის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში ანაზღაურებადია. საგამოცდო კომისიის წევრთან შრომით ხელშეკრულებას აფორმებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი. შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვრება საგამოცდო კომისიის წევრის შრომის ანაზღაურება. საგამოცდო კომისიის წევრის საქმიანობა ითვლება სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობად.“.

2. ეს გადაწყვეტილება, გარდა პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს მიღებისთანავე.

3. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი